საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ლ. მ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 12.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის №096/19

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ მ. ხ.-ის მიმართ, სიითი /№/

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ მ. ხ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2019 წლის 12 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. მ.- მ, ხოლო 2019 წლის 13 სექტემბერს მან მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 22 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა განცხადება მამისათვის, მ. მ.-სათვის დროებით მხარდამჭერად საკუთარი თავის დანიშვნის მოთხოვნით შემდეგ სფეროებში: წვრილმანი გარიგებების დადება; მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვა; სახელმწიფოსაგან სოციალური პაკეტის მიღების მიზნით სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ურთიერთობის საკითხები; ნებისმიერ ბანკთან ურთიერთობა; საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა; სასამართლოსადმი, ნებისმიერი სახელმწიფო, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოსადმი ან სხვა დაწესებულებებისადმი მიმართვა; უძრავი ქონებისა და სხვა საკუთრების განკარგვა.

1.3 ლ. მ.-ს განცხადებით, მისი მამა დაავადებულია ალცჰაიმერის სინდრომით და მისთვის დროებითი მხარდაჭერის მოპოვების აუცილებლობა გამოწვეული იყო მ. მ.-ს ანდერძისმიერი ქონების დაბრუნებისა და ამ პროცესისთვის აუცილებელი ქმედებების განხორციელებისათვის. კერძოდ, მ. მ.-ს უნდა გაესაჩივრებინა იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებისთვის დადგენილ ერთთვიან ვადაში. დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის თაობაზე სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 3 ივნისს 17:00 საათზე, გასაჩივრების ვადის გასვლამდე რამოდენიმე დღით ადრე. მ. მ.-ს ინტერესების დაცვა იურიდიული დახმარების სამსახურმა დაავალა ადვოკატ მ. ხ.-ს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ხ.-მ არ შეისწავლა საქმე, უარი განაცხადა იმ მომენტისათვის მამის მხარდამჭერად საჩივრის ავტორის დანიშვნაზე და მ. მ დატოვა დროებითი მხარდამჭერის მიღების უფლების გარეშე, რის გამოც საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო დადგენილ ვადაში საჯარო რეესტრის მიერ მიღებული აქტების გასაჩივრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს, იმ დროისათვის, 71 საქმე ჰქონდა წარმოებაში, რის გამოც ვერ გაეცნო საქმის მასალებს და არაკომპეტენტური იურიდიული მომსახურება გაუწია მას.

1.5 საჩივრის ავტორი განცხადებაში მიუთითებს ადვოკატის იმ მოქმედებებზე, რომელთა მიმართ გააჩნია პრეტენზია: ადვოკატი მ. ხ. მხოლოდ ერთხელ დაუკავშირდა მას სასამართლოს სხდომის დღეს და განუმარტა, რომ მასთან დაკავშირება დროის სიმცირიდან გამომდინარე სხვა დროს ვერ მოახერხა; ადვოკატმა ლ. მ.-ს უთხრა, რომ იყო ადვოკატი, თუმცა რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა არ უთქვამს; ადვოკატმა საჩივრის ავტორს საუბრისას განუმარტა, რომ არ იყო მომზადებული სასამართლო სხდომისათვის; ადვოკატმა უთხრა ლ. მ.-ს, რომ ზუსტად სხდომის დროს ჰქონდა სხვა საქმე და სთხოვა სასამართლოს სხდომის დღის შეცვლა, რაზედაც ლ. მ არ დათანხმდა; ადვოკატი სასამართლო სხდომის დარბაზში შემოსვლის დროს არ მიესალმა საჩივრის ავტორს, სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში კი სისტემატიურად აწყვეტინებდა საუბარს; ადვოკატი სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს საუბრობდა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებასა და ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე, თუმცა ის არ იცნობდა ამ გადაწყვეტილებას; ადვოკატს არ ჰქონდა ინფორმაცია მ. მ-ს მიერ პენსიის მიღების თაობაზე, რასაც სასამართლო სხდომაზე აზუსტებდა; ადვოკატმა სხდომაზე აღნიშნა, რომ ის ეთანხმებოდა მ. მ-სთვის მხარდაჭერის დანიშვნას პენსიის მიღების, განკარგვის, მედიკამენტების მიღების, მკურნალობაზე თანხმობის შემთხვევებში, თუმცა არ ეთანხმებოდა სასამართლოში წარმომადგენლობასთან მიმართებით; ადვოკატი სასამართლო სხდომაზე მიუთითებდა, რომ მ. მ.-ს უფლება ჰქონდა მიემართა უფასო იურიდიული მომსახურებისთვის ან კერძო ადვოკატისთვის და მათი დახმარებით ეწარმოებინა სასამართლოში დავა, ხოლო მ. მ-ს მდგომარეობა უნდა შეეფასებინა ექსპერტს; ადვოკატმა მ. ხ.-მ მოსამართლეს მიმართა, რომ მ. მ.-ს არავითარი ზიანი არ ადგებოდა და გასაჩივრების ვადები არ გადიოდა, თუმცა რეალურად საჯარო რეესტრის მიერ გამოცემული აქტების გასაჩივრების ვადები 7, 17 და 23 ივნისს იწურებოდა; ადვოკატმა მ. ხ.-მ მოსამართლეს მიმართა, რომ ადმინისტრაციული დავა იყო არაპერსპექტიული; ადვოკატმა სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში არც ერთხელ ახსენა მ. მ.-ს სახელი და გვარი და ოპონირებას უწევდა თავისივე დაცვის ქვეშ მყოფის მ. მ.-ს ინტერესებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი არაკეთილგანწყობილი იყო მის მიმართ.

1.6 საჩივრის ავტორის მოთხოვნაა ადვოკატ მ. ხ.-ს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და შეუწყდეს საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ხ.-მ 2019 წლის 22 აგვისტოს წარმოადგინა განმარტება, ხოლო 2019 წლის 27 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე ქ. კ.-მ თბილისის იურიდიულ სამსახურს მიმართა განჩინებით, სავალდებულო წესით, ადვოკატის დანიშვნის თაობაზე. 2019 წლის 30 მაისს მოხდა საქმეთა გადანაწილება და საჩივრის ავტორის ლ. მ.-ს მამის, მ. მ.-ს ინტერესების დაცვა დაევალა მას, რაზედაც ამოწერა ორდერი. ადვოკატის განმარტებით, მას საქმე გადაეცა პარასკევს, 31 მაისს, სხდომა კი ჩანიშნული იყო ორშაბათს - 3 ივნისს, რის გამოც, ადვოკატი განჩინებას და თანდართულ მასალებს გაეცნო 2019 წლის 03 ივნისს, სხდომამდე რამოდენიმე საათით ადრე. ადვოკატი აქვე განმარტავს, რომ საქმე არ იყო დიდი მოცულობის.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტი იყო მხარდაჭერის მიმღები პირი - მ. მ, ხოლო მისი შვილი - ლ. მ იყო მხარდამჭერად დანიშვნის მომთხოვნი პირი, რომელსაც პირველად შეხვდა სასამართლო სხდომაზე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ლ. მ ს მიერ შედგენილ განცხადებას, სადაც ის სასამართლოს მიმართავდა დროებით მხარდამჭერად დანიშვნის თაობაზე არ ახლდა დასაბუთება. ადვოკატი დაუკავშირდა საჩივრის ავტორს განცხადებაში მითითებულ ნომერზე, რათა გაეგო რა საფუძვლით სჭირდებოდა დროებითი მხარდაჭერის დანიშვნა სასამართლოში წარმომადგენლობისა და ქონების განკარგვის სფეროებში. ადვოკატმა განუმარტა ლ. მ.-ს, რომ შუამდგომლობა უნდა ყოფილიყო დასაბუთებული და რადგან განცხადებას არ ერთვოდა არც დასაბუთება და არც მტკიცებულებები, შეეძლო ისინი სასამართლოზე წარმოედგინა. ლ. მ.-მ, როგორც სატელეფონო საუბრისას, ასევე სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ აპირებდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის გასაჩივრებას სასამართლო წესით. სხდომაზე კი მიუთითა, რომ მამის მხარდამჭერად ცნობა სჭირდებოდა, რათა შესაძლებლობა მისცემოდა იურიდიული დახმარების სამსახურს მისთვის დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის უკმაყოფილება გამოიწვია სასამართლო სხდომაზე გამოთქმულმა ადვოკატის პოზიციამ, რადგან მან მხარი არ დაუჭირა და არ დაეთანხმა მის მოთხოვნას დაუსაბუთებლობის გამო. ადვოკატის პოზიცია გაიზიარა სასამართლომაც. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. მ.- მ, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი და უცვლელად დატოვა განჩინება.

2.6 ადვოკატ მ. ხ.-ის განმარტებით, მხარდაჭერის დაწესების საკითხი წყდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირს აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივ/ინტელექტუალური დარღვევები. აღნიშნული დარღვევის დასადგენად, სხვა მტკიცებულებებთან ერთად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ფსიქოსოციალური ექსპერტიზის ჩატარება. ადვოკატმა სასამართლოს სხდომაზე მიცემულ ზეპირ განმარტებაში აღნიშნა, რომ დასაცავი პირი ადრე არ ყოფილა აღიარებული ქმედუუნაროდ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მეხსიერება

გაუარესებული იყო მხოლოდ ბოლო ერთი წელი, მანამდე იგი თავადაც ახორციელებდა საკუთარ უფლება-მოვალეობებს. ლ. მ ს განმარტებით, მ. მ.-ს მინდობილობები ჰქონდა გაცემული ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ასევე, უცნობი იყო სასამართლოსათვის მიმართვა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის გასაჩივრება რამდენად წარმოადგენდა მ. მს ინტერესს (თუნდაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან და ასაკიდან გამომდინარე), როცა უძრავ ქონებაზე დავა კანონიერ ძალაში შესული იყო 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და გასული იყო გასაჩივრებისთვის დადგენილი ხანდაზმულობი ვადა. შესაბამისად, ადვოკატმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საქმეზე ჯერ ჩატარებულიყო კომპლექსური ფსიქოსოციალური ექსპერტიზა, სადაც სპეციალისტების მიერ მოხდებოდა კლიენტის ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გამოკვლევა და თუ დასკვნა იქნებოდა დადებითი, მხოლოდ მაშინ გადაწყვეტილიყო მხარდაჭერის ცნობის საკითხი. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორი საუბრობდა ოჯახის სახელით და მოქმედებდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისად ადვოკატმა ვერ დაინახა დროებით მხარდამჭერად დანიშვნის აუცილებლობა. ასევე, ლ. მ.-ს ჰქონდა შესაძლებლობა არსებითი განხილვისას კვლავ დაესაბუთებინა მხარდამჭერის დანიშვნის საჭიროება.

2.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ადვოკატმა სთხოვა სასამართლო სხდომის თარიღის სხვა დღეს გადატანა, ადვოკატი განმარტავს, რომ სასამართლო სხდომის დღეს - 2019 წლის 03 ივნისს 17:00 საათზე, სანამ მ. მ.-ს ინტერესების დაცვა დაევალეობდა მიწვეული იყო სხვა სხდომაზე, სადაც წარმოადგენდა მოსარჩელე მხარეს. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა უპირატესობა მიანიჭა მ. მ.-ს საქმეს და გამოცხადდა სხდომაზე, იმ ვარაუდით, რომ სხდომის დასრულების შემდეგ განაგრძობდა მეორე საქმეში მონაწილეობას.

2.8 ადვოკატ მ. ხ.-ის განმარტებით, მას არ ჩაუდენია დისციპლინური გადაცდომა, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად განახორციელა მ. მ.-ს ინტერესების დაცვა და მისი წარმომადგენლობისას მოქმედებდა ეთიკური ნორმების შესაბამისად.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – საერთო.

3.2 ლ. მ.- მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 17 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. შესაბამისად, არ არის გასული მის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისათვის მომართვამდე დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ადვოკატ მ. ხ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა მ. ხ.-მ არ შეისწავლა საქმე სრულყოფილად და მისი მოქმედებებით მ. მ დატოვა მხარდამჭერის მიღების უფლების გარეშე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ხ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).
>
> ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი („აპეკ"), მუხლი 8.5).
>
> ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა (აპეკ, მუხლი 5).

5.3 ადვოკატი კლიენტთან საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გარდა სავალდებულო დაცვის შემთხვევისა, რა დროსაც ადვოკატი ვალდებულია საქმე აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით (აპეკ, მუხლი 8.2). სავალდებულო დაცვის შემთხვევაშიც, ადვოკატი ვალდებულია კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა კლიენტის სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი.

5.4 ადვოკატ მ. ხ.-ის კლიენტი იყო მ. მ, რომლის ინტერესებიც ადვოკატს უნდა დაეცვა მხარდამჭერად დანიშვნის საკითხის განხილვისას, სასამართლოს განჩინების საფუძველზე. შესაბამისად, პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე, ადვოკატს მ. მს მიმართ წარმოეშვა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების გაწევის ვალდებულება.

5.5 საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ადვოკატ მ. ხ.-ის მიერ განხორციელებულ საადვოკატო მომსახურების კვალიფიციურობას და კეთილსინდისიერებას, ვინაიდან ლ. მ მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ზიანი მიაყენა მამის - მ. მს ინტერესებს. აღნიშნული პრეტენზიის განხილვის მიზნით, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს აქვს თუ არა ლ. მ.-ს უფლებამოსილება წარმოადგინოს პრეტენზია ადვოკატ მ. ხ.-ის მიერ შესრულებული მომსახურების თაობაზე, როგორც დაინტერესებულმა პირმა.

5.6 დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 6.1.(ა)). ეთიკის კომისია ფართოდ განმარტავს „პირს" და მოიაზრებს არა მხოლოდ იმ პირს, უშუალოდ ვისი უფლებებიც დაირღვა (სავარაუდოდ), არამედ დაინტერესებულ პირს, რომელიც კლიენტთან ერთად მოიაზრებს მისი ოჯახის წევრებსაც. შესაბამისად, ადვოკატ მ. ხ.-ის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარისხის შეფასებისას უფლებამოსილი მომჩივანი შესაძლოა იყოს ლ. მ , არა როგორც მისი კლიენტი, არამედ, როგორც ადვოკატის კლიენტის - მ. მ.-ს ოჯახის წევრი.

5.7 ეთიკის კომისია ვერ განიხილავს, ლ. მ.-ს პრეტენზიებს ადვოკატ მ. ხ.-ის მიერ მისი ინტერესების დაცვის ნაწილში, ვინაიდან, ადვოკატი მ. ხ. დაინიშნა სავალდებულო წესით, რათა დაეცვა არა საჩივრის ავტორის, არამედ მისი მამის - მ. მ.-ს ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეები არ განიხილება სასარჩელო წარმოების წესით, სადაც არსებობს მოსარჩელე და მოპასუხე/მოწინააღმდეგე მხარე, შესაძლოა მხარდამჭერის და მხარდასაჭერი პირის ინტერესები არ ემთხვეოდეს ერთმანეთს და „ადვოკატის მიერ განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებამ წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია N005/16, ეთიკის კომისიის ცხელი ხაზის რეკომენდაცია N001/17, N002/17). მხარდამჭერის მომთხოვნსა და მხარდასაჭერ პირს შორის ყოველთვის იარსებებს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, რის გამოც ადვოკატი ვერ იქნება ორივე პირის - მხარდამჭერისა და მხარდასაჭერი პირის წარმომადგენელი ერთი და იმავე საქმეში. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, უნდა იმოქმედოს კანონიერების ფარგლებში და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

5.8 „ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელოს თავისი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავისი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №057/10).

5.9 საპროცესო კოლეგიამ, წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში ლ. მ მიიჩნია უფლებამოსილ განმცხადებელად, არა როგორც კლიენტი, არამედ, როგორც დაინტერესებული პირი, რომელსაც სურდა მისი ოჯახის წევრისათვის - მ. მ.-სათვის დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა.

5.10 მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უნდა განსაზღვროს ადვოკატის დამოკიდებულება იყო თუ არა საქმის მიმართ კეთილსინდისიერი, კვალიფიციური და მისი მოქმედებები მიმართული იყო თუ არა კლიენტის - მ. მ.-ს ინტერესების დასაცავად. ამასთანავე, ეთიკის კომისია ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების შეფასებისას არ უნდა გასცდეს გამოკვლევისა და შეფასების ფარგლებს და არ უნდა შეიჭრას ადვოკატის დამოუკიდებლობაში თავად განსაზღვროს დაცვის სტრატეგია, ვინაიდან ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული ტაქტიკის საფუძვლიანობის შეფასება.

5.11 ადვოკატ მ. ხ.-ს მ. მ.-ს ინტერესების დაცვა დაევალა სავალდებულო წესით, რა დროსაც მას მისი კლიენტის ნახვის, გაცნობისა და პოზიციის მოსმენის საშუალება არ ჰქონია, ვინაიდან საქმე გადაეცა პარასკევს - 2019 წლის 31 მაისს, ხოლო სხდომა ჩანიშნული იყო ორშაბათს - 03 ივნისს. ორივე მხარე თანხმდება, რომ ადვოკატმა მოითხოვა სხდომის გადადება, რაც მისცემდა ადვოკატს საშუალებას სიღრმისეულად გაცნობოდა საქმეს და გამოეკვლია მისი კლიენტის ნება. ადვოკატისთვის უცნობი იყო კლიენტის პოზიცია, სურდა თუ არა მისი დროებითი მხარდამჭერი ყოფილიყო საჩივრის ავტორი. ასეთ ვითარებაში, ადვოკატი ვალდებული იყო კლიენტის დასაცავი სტრატეგია განესაზღვრა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით და დროებითი მხარამჭერის დანიშვნის საკითხისთვის მხარი დაეჭირა მხოლოდ შეუქცევადი ზიანის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 367[17] მუხლის პირველი ნაწილი). ადვოკატმა მ. ხ.-მ მხარი დაუჭირა ლ. მ.-ის დროებით მხარდამჭერად დანიშვნის საკითხს ნებისმიერი სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნის, აღდგენის, მიღებისა და განკარგვის სფეროში და ამ მიზნით

ნებისმიერ ადმინისტრაციულ და კერძო, ასევე საბანკო დაწესებულებებთან ურთიერთობის სფეროში; მკურნალობაზე/რეაბილიტაციაზე თანხმობის გამოხატვის სფეროში; მედიკამენტების შეძენის და მიღების სფეროში. თუმცა, ადვოკატმა მხარი არ დაუჭირა ლ. მ ს დროებით მხარდამჭერად დანიშვნას სასამართლოში წარმომადგენლობის სფეროში, რადგან არ არსებობდა შეუქცევადი ზიანი.

5.12 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ დროებით მხარდამჭერად დანიშვნის აუცილებლობის დასაბუთება განმცხადებლის ვალდებულებაა, მას ევალება დაასაბუთოს იმგვარ გარემოებათა არსებობა, რაც საქმის არსებით განხილვამდე, სასამართლოში წარმომადგენლობის სფეროში დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის აუცილებლობაზე მიუთითებს.

5.13 ლ. მ ს მიერ სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში არ იყო მითითებული რომელ სასამართლოში, რომელ დავაზე და რა საფუძვლით უნდა მიემართა მ. მ.-ს. საქმეში წარმოდგენილი 2019 წლის 03 ივნის გამართული სასამართლოს სხდომის ჩანაწერის მიხედვით დგინდება, რომ ლ. მ.- მ მხოლოდ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ აპირებდა საჯარო რეესტრის ჩანაწერების გასაჩივრებას და ამ საკითხის გამოკვლევა დაიწყო მას შემდეგ, რაც მამას, მ. მ.-ს დაუსვეს ალცჰაიმერის დიაგნოზი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადვოკატმა მ. ხ.-მ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი არის საჯარო, რაც მხარეს უფლებას აძლევს ჩანაწერი ყოველთვის გახადოს სადავო. ადვოკატმა ასევე მიუთითა, რომ მხარდამჭერის საკითხი უნდა განსაზღვრულიყო ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ჯანმრთლობის ცნობა არ იძლეოდა მ. მ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატის უარი ლ. მ.- ს დროებით მხარდამჭერად დანიშვასთან დაკავშირებით, არ წარმოადგენს კლიენტის - მ. მ.-ს ინტერესების საზიანო ქმედებას.

5.14 საპროცესო კოლეგია განმარტავს, ადვოკატ მ. ხ.-ის მიერ განხორციელებული ქმედებები გამომდინარეობდა კლიენტის ინტერესებიდან და სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას. შესაბამისად, ადვოკატ მ. ხ.-ის მიერ არ ვლინდება არაკეთილსინდისიერი და არაკვალიფიციური წარმომადგენლობა მისი კლიენტის - მ. მს მიმართ, რის გამოც მოცემულ ნაწილში არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.15 რაც შეეხება საჩივრის ავტორის სხვა პრეტენზიებს - სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორისთვის საუბრის შეწყვეტისა და მისალმებისგან თავის შეკავების თაობაზე; სასამართლო სხდომაზე ადვოკატის მხრიდან მასთან კომუნიკაციის ნაკლებობაზე; ადვოკატის მიერ სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს ფაქტების დაზუსტებასა და სხვა გარემოებებზე, რომელიც საჩივრის ავტორის განმარტებით მის მიმართ ადვოკატის უარყოფითი დამოკიდებულებით იყო ახსნილი, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნული პრეტენზიები არ უკავშირდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას, ვინაიდან ადვოკატი ვალდებულია ისაუბროს სხდომაზე კლიენტის ინტერესების დასაცავად, რისთვის მან შესაძლებელია დააზუსტოს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებები და ოპონირება გაუწიოს მეორე მხარეს. მოცემულ შემთხვევაში კი საჩივრის ავტორი წარმოადგენდა არა ადვოკატის კლიენტს, არამედ - მეორე მხარეს. ამ მხრივ, საპროცესო კოლეგია უფლებამოსილია იმსჯელოს ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილის პატივისცემის ფარგლებში (აპეკ, მუხლი 9.4), თუმცა, საქმეში არსებული მასალებით არ იკვეთება საჩივრის ავტორის შეურაცხყოფა. მისალმებისაგან თავის შეკავება, საჩივრის ავტორისათვის საუბრის შეწყვეტა და საჩივრის ავტორთან კომუნიკაციის ნაკლებობა, არ შეიძლება შეფასდეს, ადვოკატის მხრიდან

პროცესის მონაწილის შეურაცხყოფად, რის გამოც აღნიშნულ ნაწილში არ უნდა აღიძრას დევნა ადვოკატის მიმართ.

5.16 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას და არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევის თაობაზე, რის გამოც ადვოკატ მ. ხ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.2, 31–ე და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №096/19 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ხ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი /ანა ხურციძე/